**დანართი 4**

# მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი

## 1. მიზანი

1. წინამდებარე დოკუმენტის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს მაგისტრატურის სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობაში, დროის ეფექტიანად დაგეგმვასა და რაციონალურად გამოყენებაში, რესურსების, შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში.
2. წესი აწესრიგებს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ათვისების პროცედურებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისს № 704 დადგენილებით დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულების შესაბამისად.

## 2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

### 1. კვლევითი კომპონენტის მიზანი და მისი ელემენტები

1.1. კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელ კომპონენტს. იგი გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში.

1.2. კვლევითი კომპონენტის ძირითადი მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება.

1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია:

- სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი (5 კრედიტი)
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმი (10 კრედიტი)
- სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი)

### 2. სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი

2.1. სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც მაგისტრანტმა უნდა დაასრულოს სწავლის მეორე სემესტრში.

2.2. პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის აქტუალობა, შერჩეული თემის თეორიული, პრაქტიკული ღირებულება. ავტორმა უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება. პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს შესაბამისი ლიტერატურის დამუშავების შედეგებსა და აუცილებელ ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე, საკითხის კვლევის ისტორიას. მოკლედ უნდა იყოს წარმოდგენილი რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). ავტორმა უნდა ჩამოაყალიბოს კვლევის ძირითად საკითხები, წარმოადგინოს სამუშაო გეგმა.

2.3. სამაგისტრო კვლევის პროექტის - პროსპექტუსის სტრუქტურა:

- შესავალი (ზოგადი დახასიათება, აქტუალობა, მიზნები და პრაქტიკული მნიშვნელობა);
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგია (მაგისტრანტის მიერ შერჩეულ კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს);
- ძირითადი საკვლევი საკითხები ;
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები;
- ბიბლიოგრაფია (პირველწყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა).

2.4. სამაგისტრო კვლევის პროექტის - პროსპექტუსის მოცულობა უნდა იყოს დაახლოებით 8-10 გვერდი დანართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ$^2$ სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. პროსპექტუსის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით. პროსპექტუსის შესრულების შემდეგ მაგისტრანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.

2.5. პროსპექტუსზე მუშაობა მიმდინარეობს მაგისტრანტის ხელმძღვანელთან კონსულტაციების (მათ შორის ,,ონლაინ“ რეჟიმში) და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

2.6. პროსპექტუსზე მუშაობის მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს ანუ 135 საათს (5X27=135 სთ.), მათ შორის: 30 სთ, კონსულტაციები და 105 სთ დამოუკიდებელი მუშაობა.

2.7. პროსპექტუსის შეფასება ხდება მაგისტრანტის ხელმძღვანელის მიერ წერილობითი გამოცდის სახით 4 კომპონენტის მიხედვით (დანართი 1). დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 100. შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S=5 x M, სადაც M არის ოთხივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.

2.8. პროსპექტუსის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), მაგისტრანტი აგრძელებს სწავლას.

2.9. პროსპექტუსის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა), მაგისტრანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად.

**3. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმი**

3.1. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავება, მკაფიო წარმოდგენის შექმნა მთავარი პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა.

3.2. თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას მაგისტრანტი იწყებს სწავლების მეორე წლიდან, მესამე სემესტრში. კვლევის ფარგლებში მას ევალება ერთი კოლოკვიუმის მომზადება.

3.3. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. კოლოკვიუმი ითვალისწინებს სამაგისტრო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

3.4. კოლოკვიუმზე მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული შედეგები.

3.5. კოლოკვიუმის მოცულობა უნდა იყოს დაახლოებით 12-15 გვერდი დანართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ$^2$ სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა - 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. კოლოკვიუმის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული. კოლოკვიუმის შესრულების შემდეგ მაგისტრანტი განივითარებს შემდეგ კომპეტენტურობებს: ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.

3.6. კოლოკვიუმზე მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს მაგისტრანტის ხელმძღვანელთან. კოლოკვიუმის მოცულობაა 10 კრედიტი ანუ 270 საათი. მათ შორის, შუალედური ანგარიშისა და დასკვნითი პრეზენტაციის მომზადებისათვის ხელმძღვანელთან საკონტაქტო საათები 30 და დამოუკიდებელი მუშაობა 240 სთ.

3.8. კოლოკვიუმის შეფასების მიზნით კვლევის შედეგები შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წერილობით წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის 3-5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში უნდა შევიდნენ შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. კომისიაზე მაგისტრანტი აკეთებს მოცემულ ეტაპზე კვლევის შედეგების პრეზენტაციას (10-15 წთ). კომისიის თითოეული  წევრი კოლოკვიუმს აფასებს 5 კომპონენტის საფუძველზე (დანართი 2). შეფასების მაქსიმუმია 100 ქულა. შეფასების სკალირებული ქულა (S) გამოითვლება შემდეგი ფორმულით S=4 x M, სადაც M არის ხუთივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა.( დანართი 4)

3.9. კოლოკვიუმის დადებითი შეფასების შემთხვევაში (51 და მეტი ქულა), მაგისტრანტი აგრძელებს სწავლას.

## 4. საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა

4.1. საკვალიფიკაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საკვალიფიკაციო ნაშრომში ასახული უნდა იყოს ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევით მიღებული შედეგები.

4.2. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები დადგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „დებულება მაგისტრატურის შესახებ“ (2012 წლის 26 ივნისის № 704 დადგენილება).

4.3. საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულით. აუცილებელია მისი საჯარო დაცვა.

4.4. საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვის აფასებს 5-7 წევრისაგან შემდგარი საგამოცდო კომისია 100 ქულიანი შეფასების სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა, პრაქტიკული მნიშვნელობა - შეფასება 4 ქულამდე
- საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - შეფასება 4 ქულამდე

- კვლევის მეთოდების გამოყენება - შეფასება 4 ქულამდე
- ჩატარებული კვლევის შედეგების განსჯა - შეფასება 4 ქულამდე
- ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - შეფასება 4 ქულამდე
- ნაშრომის გაფორმების ხარისხი და მისი წარმოჩენის ხარისხი - შეფასება 5 ქულამდე

შეფასების სკალირებული ქულა (S) მიიღება ფორმულით S = 4 x M, სადაც M არის ექვსივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულა. (დანართი 5)

4.5. მაგისტრანტის საჯარო დაცვის შეფასება განისაზღვრება კომისიის თითოეული წევრის მიერ მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით, ამასთან საკვალიფიკაციო ნაშრომი არ ითვლება დაცულად, თუ საგამოცდო კომისიის წევრთა უმრავლესობა მას აფასებს 20-ზე ნაკლები ქულით. კენჭისყრისას ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხმა. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დგება საგამოცდო კომისიის ოქმი(დანართი 6)

4.7. მაგისტრანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

ა) დადებით შეფასებაა:

ა.ა) **(A) ფრიადი** - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) **(C) კარგი** - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) **(E) საკმარისი** - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) უარყოფით შეფასებაა:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა ნაშრომის გადამუშავების საშუალება და განმეორებით დაცვაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა -** მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი.

4.7. (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს ენიჭება ნაშრომის გადამუშავებისა და სამაგისტრო ნაშრომის განმეორებითი დაცვის უფლება. (F) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

დანართი 1.

## პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები

### 1. საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მაქსიმუმ 5 ქულა

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული |
| 3-4 ქულა | საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, მაგრამ აკლია სიცხადე |
| 2-3 ქულა | საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ფორმულირებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული |
| 1-2 ქულა | საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული |
| 0-1 ქულა | საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება ფორმულირებულია არაკვალიფიციურად, კონტექსტუალური ფაქტორების გაუთვალისწინებლად |

### 2. ლიტერატურის მიმოხილვა - შეფასება 5 ქულა

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა სრულად შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს |
| 3-4 ქულა | საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სამუშაოს მოთხოვნებს |
| 2-3 ქულა | საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გაანალიზებული |
| 1-2 ქულა | საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა არის შემთხვევითი, |
| 0-1 ქულა | საკვლევი თემის ირგვლივ შერჩეული ლიტერატურა არ შეესაბამება სამუსაოს მოთხოვნებს |

### 3. კვლევის მეთოდოლოგია - მაქსიმუმ 5 ქულა

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | კვლევის მეთოდების ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურად არის შერჩეული |
| 3-4 ქულა | კვლევის ცალკეული მეთოდები მიზნობრივად არის შერჩეული |
| 2-3 ქულა | გამოყენებული კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას |
| 1-2 ქულა | კვლევის მეთოდები არის შერჩეული არაკვალიფიციურად |
| 0-1 | კვლევის მეთოდები არ შეესაბამება კონკრეტული შედეგების მიღებას |

| | |
|---|---|
| ქულა | |

**4. კვლევის მოსალოდნელი შედეგები - მაქსიმუმ 5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | კვლევის მოსალოდნელი შედეგები ლოგიკურადაა  განმარტებული და დასაბუთებული |
| 3-4 ქულა | კვლევის მოსალოდნელი შედეგები ლოგიკურადაა  განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება |
| 2-3 ქულა | კვლევის მოსალოდნელი შედეგები განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული |
| 1-2 ქულა | კვლევის მოსალოდნელი შედეგები ზედაპირულად და არაარგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული |
| 0-1 ქულა | კვლევის მოსალოდნელი შედეგები ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე |

**დანართი 2.**

**კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები**

**1. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის მეთოდებისა და მიმართულების შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან - მაქსიმუმ  5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის მეთოდები და მიმართულება სრულად შეესაბამება თემის მოთხოვნებს |
| 3-4 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის მეთოდები და მიმართულება ნაწილობრივ აკმაყოფილებს თემის მოთხოვნებს |
| 2-3 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული |
| 1-2 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევა არის შემთხვევითი და აკლია შესაბამისობა თემის მოთხოვნებთან |
| 0-1 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევა საერთოდ არ შეესაბამება თემის მოთხოვნებს |

**2. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის  ხარისხი - მაქსიმუმ 5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი მაღალია |
| 3-4 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი მისაღებია |

| | |
|---|---|
| 2-3 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არ არის სრულყოფილი |
| 1-2 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევა ხარვეზებს შეიცავს |
| 0-1 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი დაბალია |

**3. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - მაქსიმუმ 5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. |
| 3-4 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის  საფუძველზე გაკეთებული დასკვნები მისაღებია |
| 2-3 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის  საფუძველზე დასკვნები მოიცავს უმნიშვნელო ხარვეზებს |
| 1-2 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის  საფუძველზე დასკვნები ხარვეზებით არის წარმოდგენილი |
| 0-1 ქულა | მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის  საფუძველზე დასკვნები არაადეკვატურია |

4. **კვლევის შემდგომი მიმართულების განსაზღვრა - მაქსიმუმ 5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | კვლევის შემდგომი მიმართულება განსაზღვრულია მკაფიოდ, შეესაბამება თემის მოთხოვნებს |
| 3-4 ქულა | კვლევის  შემდგომი მიმართულება განსაზღვრულია არასრულად, თუმცა შეესაბამება თემის მოთხოვნებს |
| 2-3 ქულა | კვლევის  შემდგომი მიმართულება განსაზღვრულია ხარვეზებით თუმცა შეესაბამება თემის მოთხოვნებს |
| 1-2 ქულა | კვლევის  შემდგომი მიმართულება განსაზღვრულია  ბუნდოვნად, მცირედ შეესაბამება თემის მოთხოვნებს |
| 0-1 ქულა | კვლევის  შემდგომი მიმართულება არ შეესაბამება შეესაბამება თემის მოთხოვნებს |

**5. თემის წარდგენის უნარი - მაქსიმუმ 5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით |
| 3-4 ქულა | მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. სტუდენტი ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას |
| 2-3 | მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული |

| | |
|---|---|
| ქულა | ტერმინოლოგია |
| 1-2 ქულა | მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს |
| 0-1 ქულა | სტუდენტმა ვერ შეძლო თემის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის |

**დანართი 3.**

**საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები**

**1. საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა - მაქსიმუმ 4 ქულა**

| | |
|---|---|
| 3-4 ქულა | საკვლევი პრობლემა, და აქტუალურობა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეფასებული |
| 2-3 ქულა | საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა არის ჩამოყალიბებული, მაგრამ არ არის გაანალიზებული |
| 1-2 ქულა | საკვლევი პრობლემა და აქტუალობა არ არის სრულყოფილად ჩამოყალიბებული |
| 0-1 ქულა | საკვლევი პრობლემა და აქტუალურობა არაკვალიფიციურად არის ჩამოყალიბებული ან საერთოდ არ არის წარმოჩენილი |

**2. საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი - მაქსიმუმ 4 ქულა**

| | |
|---|---|
| 3-4 ქულა | ლიტერატურა სწორად არის შერჩეული და მისი ანალიზი სრულად შეესაბამება კვლევის მიზნებს |
| 2-3 ქულა | ლიტერატურა საკმაოდ სწორადაა შერჩეული და მისი ანალიზი ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის მიზნებს |
| 1-2 ქულა | ლიტერატურა სრულად არ არის შერჩეულ და მისი ანალიზი არ არის სათანადო დონეზე ჩატარებული |
| 0-1 ქულა | ლიტერატურა არის შემთხვევითი, არ შეესაბამება კვლევის მიზნებს |

**3. კვლევის მეთოდების გამოყენება - მაქსიმუმ 4 ქულა**

| | |
|---|---|
| 3-4 ქულა | კვლევის მეთოდები ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურად გამოიყენება |
| 2-3 ქულა | კვლევის ცალკეული მეთოდები საკმაოდ ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენება |
| 1-2 ქულა | გამოყენებული კვლევის მეთოდები ვერ უზრუნველყოფსსათანადო დონეზე კონკრექტული შედეგების მიღებას |
| 0-1 ქულა | კვლევის მეთოდები არ არის გამოყენებული ან გამოყენებულია არაკვალიფიციურად |

**4. კვლევის შედეგების განსჯა - მაქსიმუმ 4 ქულა**

| | |
|---|---|
| 3-4 ქულა | კვლევის შედეგების განსჯა კვალიფიციურად არის წარმოდგენილი |
| 2-3 ქულა | კვლევის შედეგების განსჯა საკმაოდ კვალიფიციურად არის წარმოდგენილი |
| 1-2 ქულა | კვლევის შედეგების განსჯა ამოითხოვს სრულყოფას |
| 0-1 ქულა | კვლევის შედეგების განსჯა არაკვალიფიციურად არის წარმოდგენილი |

**5. კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება - მაქსიმუმ 4 ქულა**

| | |
|---|---|
| 3-4 ქულა | კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. |
| 2-3 ქულა | კვლევის  საფუძველზე გაკეთებული დასკვნები მისაღებია, თუმც მოიცავს უმნიშვნელო ხარვეზებს |
| 1-2 ქულა | კვლევის  საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხარვეზებით არის წარმოდგენილი |
| 0-1 ქულა | დასკვნები კვლევის არაადეკვატურია |

**6. ნაშრომის წარდგენის უნარი და გაფორმების ხარისხი - მაქსიმუმ 5 ქულა**

| | |
|---|---|
| 4-5 ქულა | მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით |
| 3-4 ქულა | მსჯელობა კარგ დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია. სტუდენტი ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს, მაგრამ მოკლებულია დამაჯერებლობას |
| 2-3 ქულა | მსჯელობა არასრული და არადამაჯერებელია. არ არის გამოყენებული პროფესიული ტერმინოლოგია |
| 1-2 ქულა | მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, ვერ ასახავს წარმოდგენილი თემის შინაარსს |
| 0-1 ქულა | სტუდენტმა ვერ შეძლო თემის დაცვა. მსჯელობა საკითხის შესაბამისი არ არის |

**დანართი 4**

## კოლოკვიუმის შეფასების ფორმები

### მაგისტრანტის კოლოკვიუმზე წარდგენილი მოხსენების შეფასება კომისიის წევრის მიერ

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

### მოხსენების შეფასება კომისიის წევრის მიერ

_____
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

- უ ნ დ ა ი ქ ნ ა ს შ ე ვ ს ე ბ უ ლ ი გ ა რ კ ვ ე ვ ი თ ა ნ დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი
- ფ ო რ მ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა ე რ თ ი ფ უ რ ც ლ ი ს ო რ გ ვ ე რ დ ზ ე
- მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი შ ე ფ ა ს ე ბ ა 100 ქ უ ლ ა

**მომხსენებელი:**

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი: | |
| მოხსენების დასახელება: | |
| პროგრამა: | |
| ხელმძღვანელი: | |
| თარიღი: | |

**კომისიის წევრი**

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი: | |
| დაწესებულება, სტრუქტურული ერთეული: | |
| თანამდებობა: | |

| **შეფასება კრიტერიუმების მიხედვით** | | მაქს. ქულა |
|---|---|---|
| 1. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის მეთოდებისა და მიმართულების შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან | | 5 |
| 2. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის ხარისხი | | 5 |
| 3. მოცემულ ეტაპზე ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება | | 5 |
| 4. კვლევის შემდგომი მიმართულების განსაზღვრა | | 5 |
| 5. თემის წარდგენის უნარი | | 5 |
| **ჯამი:** | 4 x = | |

**კომენტარი** (კომენტარი უნდა გაკეთდეს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ფურცლის მეორე გვერდი

| | | |
|---|---|---|
| კ ო მ ი ს ი ი ს წ ე ვ რ ი | ხ ე ლ მ ო წ ე რ ა | თ ა რ ი ღ ი |

# მაგისტრანტის მიერ კოლოკვიუმზე წარდგენილი მოხსენების შეფასება

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

ფ ა კ ულ ტ ე ტ ი

**მოხსენების დასკვნითი შეფასება**

❖ უ ნ დ ა ი ქ ნ ა ს შ ე ვ ს ე ბ უ ლ ი გ ა რ კ ვ ე ვ ი თ ა ნ
დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი
❖ ფ ო რ მ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა ე რ თ ი ფ უ რ ც ლ ი ს ო რ გ ვ ე რ დ ზ ე

**კოლოკვიუმის ჩატარების თარიღი (რ/თ/წ)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

| | |
|---|---|
| | |
| კორპუსი, აუდიტორია: | |
| დრო: | |

| | |
|---|---|
| კომისიის წევრთა საერთო რაოდენობა: | |
| კვორუმი: | |
| დამსწრე წევრთა რაოდენობა: | |

**ინფორმაცია მოხსენების შესახებ**

| | |
|---|---|
| მომხსენებლის გვარი, სახელი: | |
| მოხსენების დასახელება: | |
| პროგრამა: | |

| **კომისიის წევრები** სახელი, გვარი | დაწესებულება, თანამდებობა | დარგი/სპეციალობა | შეფასების ჯამური ქულა |
|---|---|---|---|
| 1. (თავმჯდომარე) | | | |
| 2. | | | |
| 3. | | | |
| 4. | | | |
| 5. | | | |
| 6. (მდივანი) | | | |
| 7. | | | |
| 8. | | | |
| 9. | | | |
| | | საშუალო ქულა: | |

**შენიშვნა**

| | | |
|---|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ხელმოწერა | თარიღი |
| კომისიის მდივანი | ხელმოწერა | თარიღი |

**დანართი 5**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

## საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება
## კომისიის წევრის მიერ

_____
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

- უ ნ დ ა ი ქ ნ ა ს შ ე ვ ს ე ბ უ ლ ი გ ა რ კ ვ ე ვ ი თ ა ნ დ ა ბ ე ჭ დ ი ლ
- ფ ო რ მ ა ი ბ ე ჭ დ ე ბ ა ე რ თ ი ფ უ რ ც ლ ი ს ო რ გ ვ ე რ დ ზ ე
- მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი შ ე ფ ა ს ე ბ ა 100 ქ უ ლ ა

**მომხსენებელი:**

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი: | |
| მოხსენების დასახელება: | |
| პროგრამა: | |
| ხელმძღვანელი: | |
| თარიღი: | |

**კომისიის წევრი**

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი: | |
| დაწესებულება, სტრუქტურული ერთეული: | |
| თანამდებობა: | |

**შეფასება კრიტერიუმების მიხედვით**

| | | მაქს. ქულა |
|---|---|---|
| 1. საკვლევი პრობლემის აღწერა, აქტუალურობა | | 4 |
| 2. საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი | | 4 |
| 3. კვლევის მეთოდების გამოყენება | | 4 |
| 4. კვლევის შედეგების განსჯა | | 4 |
| 5. კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება | | 4 |
| 6. ნაშრომის წარდგენის უნარი და გაფორმების ხარისხი | | 5 |
| **ჯამი:** | 4x = | |

**კომენტარი** (კომენტარი უნდა გაკეთდეს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ფურცლის მეორე გვერდი

| | | |
|---|---|---|
| კომისიის წევრი | ხელმოწერა | თარიღი |

**დანართი 6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

**№ საგამოცდო კომისიის**

**ოქმი №**

_____ 20.... წელი

მაგისტრანტი _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

სამაგისტრო პროგრამა _____

საკვალიფიკაციო ნაშრომის დასახელება: _____

_____

დაცვას ესწრებიდნენ:

კომისიის თავმჯდომარე _____

(თანამდებობა, ინიციალი, გვარი)

კომისიის მდივანი _____

(თანამდებობა, ინიციალი, გვარი)

კომისიის წევრები: (თანამდებობა, ინიციალი, გვარი)

1._____

2._____

3._____

4._____

მაგისტრანტის ხელმძღვანელი _____

რეცენზენტი_____

**საკვალიფიკაციო კომისიაზე წარდგენილი მასალები:**

1._____ ფაკულტეტის დეკანის _____

მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი, რომლის თანახმად

მაგისტრანტმა _____ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, გარდა კომპონენტისა "საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა", დააგროვა 90 (ოთხმოცდაათი) კრედიტი და მისი აკადემიური მოსწრების საშუალო შეწონილი ქულაა _____ ;

2. საკვალიფიკაციო ნაშრომის განმარტებითი ბარათი _____ გვერდზე;

3. მაგისტრანტის ხელმძღვანელის დასკვნა ——————————————— გვერდზე;

4. რეცენზია ——————————————————————————— გვერდზე;

მაგისტრანტს მიეცა შემდეგი შეკითხვები:

1.————————————————————————————————

2. ————————————————————————————————

3. ————————————————————————————————

4. ————————————————————————————————

**საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილება:**

მაგისტრანტმა_____

სახელი. გვარი

დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი შეფასებით ——————————————— ქულა, (მაქსიმალური 100 ქულიდან). დააგროვა 120 კრედიტი და მისი საშუალო შეწონილი მოსწრება შეადგენს ——————————————————— ქულას.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ——————————————————

——————————————— ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის

——————————————————————————————————— სრული კურსი.

_____

სახელი. გვარი, პირადი ნომერი

მიენიჭოს ——————————————————————————————————

——————————————————————— მაგისტრის აკადემიური ხარისხი

——————————————————— და მიეცეს ——————————————————— დიპლომი

მაგისტრის ან მაგისტრის წარჩინების

საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ——————————————

(ხელმოწერა)

კომისიის წევრები. (თანამდებობა, ინიციალი, გვარი და ხელმოწერა)

1.————————————————————————————————

2.————————————————————————————————

3.————————————————————————————————

4.————————————————————————————————

5._____

6._____

7._____

_____

ოქმის შემდგენი პირის თანამდებობა, ინიციალი, გვარი ხელმოწერა